ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ30. 302305914**
თარიღი:**28/02/2023**

მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,ნ“ ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსისა“ და ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეთანხმდეს მშენებლობის ნებართვის მაძიებლის დარეჯან ხიზანიშვილის ((პ/ნ 01009001172), წარმომადგენელი მარინე თათრიშვილი (პ/ნ 01017012394)) წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა დარეჯან ხიზანიშვილის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ გრიგოლეთში მდებარე 390.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 27.15.56.243)) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად, მე-2 კლასს მიკუთვნებულ სამუშაოებზე.

2. მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგითობა და ხანგრძლივობა (24 თვე) განისაზღვროს წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების პროექტის შესაბამისად.

3. მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების 26-ე მუხლის შესაბამისად, II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის გათვალისწინებული სამშენებლო/სანებართვო პირობები.

4. დაევალოს მერიის ზედამხედველობის სამსახურს შეამოწმოს, ნებართვის მფლობელის მიერ, ნაბართვის გაცემიდან ათი დღის ვადაში, საინფორმაციო დაფაზე ასახული ინფორმაციის განახლების შესრულება.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.N14 მისი ოფიციალურად გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“–ს VIII თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი